თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 04

26 თებერვალი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა ორკოდაშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ნანა ხვისტანი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**დავით გოგოშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**ლევან ლილუაშვილი;**
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე	**მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე	**ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე	**გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკი ქოჩიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, გურამი წულუკიძე, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი;**
მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებელობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი;**
მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილი.**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. მიხეილ გრემელაშვილისათვის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების აღდგენის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.05სთ-მდე

2. ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეები"-ს სახელის ცვლილების შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.05სთ-დან - 12.10სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N65 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.10სთ-დან - 12.20 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის N58 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამომრჩევლებისთვის წარსადგენი წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცების“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

12.20სთ-დან - 12.30 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

12.30სთ-დან - 12.35სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე

12.35სთ-დან - 12.45სთ-მდე

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა 12.45 სთ-დან - 12.50 სთ-მდე

7. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

მომხს. ლ.ღარიბაშვილი

12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს.გ.თავბერიძე

13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე

13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს.გ.თავბერიძე

13.20სთ-დან - 13.25სთ-მდე

11. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი

13.25სთ-დან - 13.30სთ-მდე

დამატებით საკითხად დღის წესრიგში შესატანად წარმოდგენილი იქნა საკითხი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021-2024 საშუალოვადიან გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> მიხეილ გრემელაშვილისათვის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების აღდგენის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.00სთ-დან - 12.05სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიხეილ გრემელაშვილს სასამართლოს გადაწყვეტილებით მოეხსნა აღმკვეთი ღონისძიება - პატიმრობა, აღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის თანახმად, მას უნდა აღუდგეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება და აუნაზღაურდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში მიუღებელი თანამდებობრივი სარგო.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გრემელაშვილის უფლებამოსილების აღდგენა მიღებულ იქნას ცნობად.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები"-ს სახელის ცვლილების შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.05სთ-დან - 12.10სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრაქციის სხდომის გადაწყვეტილებით ფრაქციას „ქართული ოცნება-მწვანეები“ ეწოდა „ჩვენი თელავი“, რაც საკრებულოს უნდა წარედგინოს ცნობის სახით.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები"-ს სახელის ცვლილება მიღებულ იქნეს ცნობად.

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N65 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და

გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.10სთ-დან - 12.20 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის N58 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამომრჩევლებისთვის წარსადგენი წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცების“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.20სთ-დან - 12.30 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.30სთ-დან - 12.35სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ზ.ლილუაშვილმა**

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.35სთ-დან - 12.45სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.ჩაბრაშვილმა,ზ.ლილუაშვილმა** აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია ამ სოფლების მცხოვრებლების თხევადი აირით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლებსაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა 12.45 სთ-დან - 12.50 სთ-მდე

<u>7.მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

მომხს. ლ.ღარიბაშვილი
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღანიძემ**

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს.გ.თავბერიძე

13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღანიძემ, ზ.ლილუაშვილმა**

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

9. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე

13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

10.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს.გ.თავბერიძე

13.20სთ-დან - 13.25სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო ნორმატიული ფასის გაზრდა, რაზეც **მომხსენებლის** მიერ აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე, ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ნორმატიული ფასის გაზრდა.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

11.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი

13.25სთ-დან - 13.30სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

12.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2021-2024 საშუალოვადიან გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე